

რომ განახორციელოს მაღალეფექტური, ქმედითუნარიანი რეფორმები, რომლებიც ძირფესვიანად აღმოფხვრის ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენებს და მიმართული იქნება მრეწველობის მაღალმომგებიანი დარგებისა, ასევე ადგილობრივი საწარმოებისა და სხვადასხვა სფეროების განვითარებისაკენ. წარმოების თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილ, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, წარმოების კულტურის დონის ამაღლებით, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით, მატერიალური სტიმულირების ამაღლებისა და შრომის პროცესში ჯანსაღი ატმოსფეროს განხორციელებით, დასაქმდებიან კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მინიმუმამდე შემცირდება მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ და რესპუბლიკაში დამზადებული მაღალხარისხიანი კონკურენტუნარიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფილი იქნება შიდა ბაზრის მოთხოვნილება, ხოლო გარკვეული ნაწილი გატანილი იქნება ექსპორტის სახით. შემოდინებული უცხოური ინვენსტიციებისა და ეფექტური დონისძიებების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო ამაღლდება რესპუბლიკის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის დონე.

**ზეინაბ ახალაძე**

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

## საქართველოს აბრარული ბიზნესი და ევროპული ბაზარი

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს არა მარტო მისი დიდი საექსპორტო პოტენციალის, არამედ სოციალური მნიშვნელობითაც. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფება და სერიოზული პრობლემები აქვს გადასაჭრელი. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარების დახმარების როლში იყო, და არა მხოლოდ სექტორში პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობის გამო. მთავრობას სექტორი მიტოვებული ჰქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად ის მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდა გამოცხადებული. ჩაურევლობის ამ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების შემცირებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დაცემით.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

ცხრილი 1

სოფლის მეურნეობის ინდიკატორები

წელი	ნათესი ფართობი	ნათესი ფართობის წილი სახნავი მიწების მიმართ (%)	პირუტყვის სულადობა (ათასი სული)	დასაქმება სოფლის მეურნეობაში (%)	სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში (%)
1990	701,900	87.5	1298.0	25.2	29.7
1995	453,100	56.5	973.6	30.6	41.7
2000	610,800	76.2	1177.0	52.1	20.2
2005	539,600	67.3	1190.6	47.8	16.8
2010	256,700	34.3	1049.4	47.0	2.4
2011	262,400	35.0	1087.6	46.9	2.2
2012	259,600	34.6	1128.8	46.8	2.6

სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად მცირდება (41.7%-დან 1995 წელს, 2.6%-მდე 2012 წელს). სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის კლება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაღალი ღირებულება ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა, რუსეთის სავაჭრო ემბარგო და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მლნ. ლარი)

მაჩვენებელი	2008	2009	2010	2011	2012
მემცენარეობა	918.1	868.3	932.1	1237.9	1009.7
მეცხოველეობა	1227.6	1140.5	1240.3	1336.8	1620.4
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	57.2	63.4	69.4	99.3	109.9
სულ	2202.9	2072.2	2241.8	2674.0	2740.0

ბოლო დროს ქვეყანაში ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლითაც ეკონომიკის ამ დარგის გაძლიერება იგეგმებოდა, მაგრამ რამდენად საკმარისი არის ის, რაც გაკეთდა? საქართველო დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული და აქ იმპორტირებული საქონლის შექმნა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ადგილზე მოყვანა. არადა, აგრარული სექტორი მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო მეტად იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას, რადგან, მსოფლიოში საკვები

პროდუქტების პრობლემა ჩნდება. ამ დროს კი საქართველო, რომელსაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოყვანა იმ რაოდენობით შეუძლია, რომ თავისი შიგა ბაზრის მოთხოვნილება თითქმის მთლიანად დააკმაყოფილოს და ექსპორტ ზეც იფიქროს, პირიქით, იმპორტსა და მსოფლიო ბაზარზე დაბოკიდებული.

მას შემდეგ რაც სოფლის მეურნეობამ საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში უფრო დომინანტური ადგილი დაიკავა, მის მიმართ მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება დაიწყო ბიზნეს სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოების სექტორმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო 2012-2022 წლებისთვის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მომზადებას. ამ სტრატეგიის განხორციელებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ხელშეწყობა აგრეთვე ევროკავშირის პრიორიტეტიცაა. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის რეალური შესაძლებლობები გაუჩნდა. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოსთვის, რომელიც აუცილებლად დასრულდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერით. ამ შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, ეგრეთ წოდებული DC 1A. ამ ხელშეკრულებით ქართულ მეწარმეებს უჩნდებათ რეალური შანსი საკუთარი პროდუქცია გააცნონ უფრო მეტ მომხმარებელს. გარდა ამისა, ქართველი მეწარმეებისთვის ევროპული ბაზარი, წარმატებით ათვისების შემთხვევაში, შესაძლოა იქცეს მათი ბიზნეს საქმიანობის სტაბილურობის გარანტად. ქართველ მეწარმეებს აქვთ საკმაოდ რთული ქეისი რუსულ ბაზართან დაკავშირებით. რუსული ბაზარიც შეიძლება იყოს ათვისებული, მაგრამ რუსულ ბაზარზე გადაწყვეტილებების მიღება, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე პოლიტიკური ნიშნით და არა წმინდა ეკონომიკური გათვლებით. ევროკავშირის ბაზარზე კი დახლვეულები ვართ ამ კუთხით.

ჩვენის აზრით, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ის სექტორია, სადაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანს. იგი სერიოზული რეფორმებისა და ცვლილებების გატარებას მოითხოვს და შექმნის სურსათის უსაფრთხოების მყარ სისტემას, შესაბამისი ვეტერინარული, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესებისა და პროცედურების ჩათვლით. თავისუფალი სავაჭრო სივრცე საუფუძველს ჩაუყრის ვაჭრობასთან დაკავშირებული მექანიზმების–სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჰიგიენური სტანდარტებისა და საწარმოო საქონლის მარეგულირებელი წესების ევროკავშირის წესებთან დაახლოებას, რაც გაზრდის ევროპიდან პირდაპირი ინვესტიციების ნაკადს.

როგორც ცნობილია, ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელსაც საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27% უკავია და საშუალოდ 10.7 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს, აქედან იმპორტი არის 2.2 მილიარდი, ხოლო ექსპორტი 608 მილიონი დოლარი. საქართველოდან ევროკავშირში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება. უფრო კონკრეტულად კი საქართველოდან ევროკავშირში იგზავნება: თხილი და კაკალი, ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის

წვენები, უაღკაპოლო სასმელები, ცხოველური ტყავები და ა.შ. მართალია საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენი პროდუქცია იყიდება, მაგრამ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული ბევრი პროდუქტი დამუშავებელი საქონელია. საქართველოს შეუძლია ვაჭრობის სფეროში საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდა ევროკავშირში ისეთი პროდუქციის ექსპორტირებით, რომლის ღირებულება გაიზრდება დამუშავების შედეგად, თუკი ის უზრუნველყოფს ევროკავშირის ბაზრებზე მოთხოვნილი ხარისხისა და სტანდარტების დაკმაყოფილებას.

სამწუხაროდ, დღეისათვის ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა მცირე და არასაკმარისად დივერსიფიცირებულია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს შეეხება. რატომ ხდება ასე? ერთი შეხედვით, მსოფლიო სავაჭრო სისტემაში მონაწილეობისათვის საქართველოს ერთობ ხელსაყრელი პირობები აქვს შექმნილი, ქვეყანა სარგებლობს ევროკავშირის პრეფერენციათა (შეღავათების) განზოგადებული სისტემით (GSP+) გათვალისწინებული სატარიფო შეღავათებით. 10000 სატარიფო პოზიციიდან, რომელსაც ევროკავშირის ერთიანი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს, დღეს 9300 დასახელების პროდუქცია საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. მათგან 2100 სასაქონლო კატეგორიაზე ტარიფები, ქვეყნისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ადრე მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ფარგლებში გაუქმდა. 7200 დასახელების პროდუქციაზე კი – ევროკავშირის მიერ 2005 წლიდან დაწესებული პრეფერენციების განზოგადებული სისტემის დამატებითი სატარიფო დათმობის ფორმატში (GSP+). მანამდე პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) 6900 დასახელების პროდუქციაზე ვრცელდებოდა და მათგან ნულთან განაკვეთით მხოლოდ 3300 სარგებლობდა. ამის მიუხედავად, ევროპის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქცია გადის. აქედან GSP+-ის შეღავათების რეჟიმს უშუალოდ 34 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება.

მაშასადამე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მოცულობა შექმნილი პირობების არაადეკვატურია და საქართველო არასრულად იყენებს არსებულ პოტენციალს. ჩვენის აზრით, ამ და სხვა შესაძლებლობების გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ნაწარმის სათანადო შეფუთვის, ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარების და ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის უპირატესობათა რეკლამირების გზით. ამიტომ, პრობლემების სირთულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორს ევროკავშირის მხრიდან გრძელვადიანი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება.

ევროკავშირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში 1990-იანი წლებიდან არის ჩართული. ევროკავშირთან ურთიერთობის თითქმის ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში უამრავი პროექტი განხორციელდა სურსათის უვნებლობის საბიუჯეტო დახმარებისა თუ სხვა მიმართულებით. 2013 წელს ევროკავშირმა საქართველოსთან დაიწყო „ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD), რაც მიზნად ისახავს სურსათის წარმოების გაზრდას და სოფლად სიღარიბის შემცირებას. ევროკავშირის მთავარი მოთხოვნაა, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება შესაბამისი სტრატეგიით

მოხდეს, რათა ეს სფერო ევროკავშირის ქვეყნებში ამ სექტორის დონეს მიუახლოვდეს.

საქართველო ევროკავშირისგან სოფლის მეურნეობის სექტორის გასაძლიერებლად 40 მილიონი ევროს დაფინანსებას 2013–2016 წლებში მიიღებს. ამ პროგრამას სხვადასხვა კომპონენტი აქვს. 18 მილიონი ევრო საბიუჯეტო დახმარების სახით გადაეცემა საქართველოს მთავრობას; 15 მილიონი ევრო გაიცემა გრანტების სახით მცირე ფერმერულ ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესაქმნელად; ხოლო დარჩენილი თანხა მოხმარდება ტექნიკური დახმარების პროექტებს.

საბიუჯეტო დახმარების მიმართულება, რომლისთვისაც 18 მილიონი ევროა გამოყოფილი, მთავრობას სასოფლო რაიონებში ფერმერთათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების შექმნაში, ასევე, ფერმერთათა შორის კოოპერაციის ხელშეწყობისთვის ევროკავშირის მსგავსი კანონმდებლობის მიღებაში დაეხმარება. საპროექტო მიმართულება – 15 მილიონი ევრო სოფლის მეურნეობის განვითარების გრანტების პროექტების დაფინანსებას მოხმარდება, რაც ფერმერებს ხელს შეუწყობს დაზოგონ წარმოების დანახარჯები, უფრო ეფექტურად აწარმოონ პროდუქცია და გაიუმჯობესონ საბაზრო კავშირები. ტექნიკური დახმარების პროექტის მეშვეობით 2 მილიონი ევრო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას მოხმარდება; ტექნიკური დახმარების პროექტის მეშვეობით 3 მილიონი ევრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებაზე დაიხარჯება; 2 მილიონი - აუდიტს, შეფასებასა და საინფორმაციო დონისძიებებს მოხმარდება.

მიღებული 40 მილიონიდან 25 პრაქტიკულად გრანტია. როგორც ცნობილია, ერთი სფეროს განსავითარებლად ამ ოდენობის თანხა ევროკავშირს საქართველოსთვის აქამდე არ გამოუყვია. პროექტის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რაოდენ სწორად, რაციონალურად იქნება ეს თანხები გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პოტენციალი, დაახლოებით, 10-12 მილიონი ადამიანის გამოკვებაა.